

უხამსობის შეფასების ქართული ტესტი და საერთაშორისო გამოცდილება

თამარ ავალიანი

სამართლის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) იურიდიული ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი
ელფოსტა: tamar.avaliani888@gmail.com

თამარ ავალიანი

აბსტრაქტი

სტატიაში გამოკვლეულია უხამსობის რეგულირების ქართული მოდელის ხარვეზები და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. სტატიაში გაანალიზებულია უხამსობის რეგულირების აშშ-ს მოდელი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. სტატიაში შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები უხამსობის ცნების დახვეწის მიმართულებით. კვლევისას გამოიკვეთა, რომ უხამსობის ცნების განმარტება საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზიანია და კონვენციონალურ მორალთან წინააღმდეგობის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის რისკებს ქმნის. უხამსობის ცნების შინაარსი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალური შეზღუდვის არსს ეწინააღმდეგება. გამოხატვის თავისუფლების ქართული კონსტიტუციური მოდელი შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალურ რეგულირებაზეა ორიენტირებული და არ ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივი მორალის დაცვის საფუძვლით. აღნიშნული კი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალური შეზღუდვის არსს ეწინააღმდეგება.

საკვანძო სიტყვები: გამოხატვა, მოდელი, უფლება

The Georgian Test of Assessment of Obscenity and International Experience

Tamar Avaliani

Doctor of Law, Affiliated Associate Professor at the Faculty of Law at Georgian National University (SEU)

Email: tamar.avaliani888@gmail.com

ABSTRACT

The article explores the deficiencies of Georgian model of obscenity and its compliance with best international standards. The research envisages the analysis of the US and ECHR model of regulating obscenity. The article offers particular recommendations regarding refining the concept of obscenity. The research has revealed that the definition of obscenity in Georgian legislation is flawed and poses risks of infringing freedom of expression on the basis of conventional moral. The concept of obscenity in Georgian legislation is not in accordance with neutral concept of freedom of expression model according to the article 17 of the Constitution of Georgia. Georgian constitutional model of freedom of expression is based on the concept of neutral regulation and does not envisage limiting the right to freedom of expression on the basis of public moral. Infringement of freedom of expression based on public morals is against the constitutional model of neutral regulation of freedom of expression.

KEYWORDS: Expression, Model, Right

შესავალი

გამონატვის თავისუფლების ქართული კონსტიტუციური მოდელი შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალურ რეგულირებაზეა ორიენტირებული და არ ითვალისწინებს გამონატვის თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივი მორალის დაცვის საფუძვლით. საქართველოს კონსტიტუციური სტანდარტი ეთიკური ნეიტრალიტეტის დაცვას გარანტირებს და არ იძლევა გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას საზოგადოებაში გაბატონებული ეთიკური სისტემებისა და საზოგადოებრივი ღირებულებებითი წესრიგიდან გამომდინარე. საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტით „პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები“.¹

სტატიაში ძირითადად გაანალიზებულია უხამსობის რეგულირების აშშ-ს მოდელი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ნაშრომში გამოკვლეულია უხამსობის ცნების მოწესრიგების ხარვეზები საქართველოს კანონმდებლობაში და მისი შესაბამისობის საკითხი საერთაშორისო სტანდარტებთან. სტატიაში შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდა-

ციები უხამსობის ცნების დახვეწის მიმართულებით.

უხამსობის უზენაესი ტესტი აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება² არ იცავს უხამს გამონატვას. აშშ-ს ფედერალური კანონები არ ითვალისწინებენ უხამსობის ცნების განმარტებას³. უხამსობის შესაფასებლად აშშ-ს უზენაესი სასამართლო „მილერის სამწვეროვან ტესტს“ იყენებს⁴. 1973 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე – მილერი კალიფორნიის შტატის წინააღმდეგ, უხამსი გამონატვის შემადგენლობის ტესტი დაადგინა, რითაც დღემდე ხელმძღვანელობს აშშ-ს უზენაესი სასამართლო.

მილერის ტესტით უხამსობის აკრძალვა არ დაარღვევს პირველ შესწორებას, თუ: „თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მისადაგების შედეგად – „საშუალო ადამიანი“ მოცემულ მასალებს არ მიიჩნევს მთლიანობაში მწველი (ავხორცი) ინტერესის გამომწვევად; მოცემული მასალები სქესობრივ მოქმედებებს ასახავს აშკარად შეურაცხმყოფელი ფორმით – რაც შტატის კანონით არის განსაზღვრული; მოცემული მასალები მოკლებულია სერიოზულ ლი-

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/3/421,422).

2 First Amendment of the US Constitution. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment> [წვდომის თარიღი 25 სექტემბერი 2021].

3 Metcalf, J. and Todd., 1996. Obscenity Prosecutions in Cyberspace. The Miller Test Cannot "Go Where No [Porn] Has Gone Before", Washington University Law Review. 74. გვ. 485. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1613&context=law_lawreview> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

4 ამერიკის შეერთებული შტატების 1973 წლის 21 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N413 U.S. 15. მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ).

ტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ ან მეცნიერულ ფასეულობებს⁵. უხამსობის შესაფასებლად სამივე მკვლევარის მიერ ნიშანი კუმულაციურად უნდა არსებობდეს.

მილერის ტესტამდე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში შემუშავებულ იქნა უხამსობის შინაარსის განმსაზღვრელი ჰიკლინის ტესტი, რომელსაც სხვაგვარად შეიძლება „ლაბილური, მგრძობიარე ადამიანის ტესტი“ ეწოდოს. ჰიკლინის ტესტით „უხამსად ითვლებოდა იმგვარი გამოხატვა (მასალა), რომელსაც ჰქონდა ამგვარ მასალასთან მწვდომ განსაკუთრებით მგრძობიარე და ლაბილურ საზოგადოებაზე გარყვნილი და კორუმპირებული ზეგავლენის მოხდენის ტენდენცია“⁶. ჰიკლინის საქმეზე განვითარებული „მგრძობიარე ადამიანის“ ტესტი სუბიექტურად ინტერპრეტირებად კრიტიკულად წარმოადგენდა. მასალის შეფასებისას შესაძლოა უხამსობად დაკვალიფიცირებულიყო ჩვეულებრივი სექსუალური შინაარსის შემცველი გამოხატვა, რაც ჯდება აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ სფეროში.

1957 წელს როტის საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ პირველად განაცხადა, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორება არ იცავს უხამს გამოხატვას⁷.

საქმეზე – როტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ – აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ, ასევე, პირველად მოახდინა სიტყვა „უხამსობის“ დეფინიცია და „სექსისადმი არაჯანსაღი ინტერესის აღძვრის კონცეფციით შემოიფარგლა“⁸. ასევე, როტის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ პირველად გამოიყენა სექსუალური თვითგამოხატვა პორნოგრაფიისგან⁹.

როტის საქმეზე სასამართლომ შემოიტანა „საშუალო“ ადამიანის ტესტი და განმარტა, რომ უხამსად ჩაითვლება ისეთი გამოხატვა (მასალა), რომლის შინაარსიც გარემო პირობების გათვალისწინებით საშუალო ადამიანზე თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების გათვალისწინებით არაჯანსაღ ინტერესს იწვევდა¹⁰. როტის „საშუალო ადამიანის“ ტესტი უხამსობის შინაარსს უფრო ნათელს ხდიდა და არტისტული გამოხატვის მეტი ნაწილი

- 5 ოქრუაშვილი, მ. და კოტეტიშვილი, ი., 2005. გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში. პირველი ტომი. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, გვ. 20; ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ, 21/06/1973, 413 U.S.
- 6 Green, W., 2009. Hicklin Test, First Amendment Encyclopedia. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.mtsu.edu/first-amendment/article/969/hicklin-test>> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].
- 7 Metcalf, J. and Tod, d., 1996. Obscenity Prosecutions in Cyberspace: The Miller Test Cannot "Go Where No [Porn] Has Gone Before". Washington University Law Review, 74. p.485. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1613&context=law_lawreview> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].
- 8 ოქრუაშვილი, მ. და კოტეტიშვილი, ი., 2005. გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში. პირველი ტომი. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, გვ. 67.
- 9 გოცირიძე, ე., 2007. დისერტაცია „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით)“. თსუ, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი: თბილისი: გვ.401.
- 10 ამერიკის შეერთებული შტატების 1957 წლის 24 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N354 U.S. 476. როტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ).

ექცეოდა აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების დაცვის სფეროში¹¹. როტის საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა სექსი და უხამსი გამონახტვა და განმარტა, რომ ისინი არ უნდა იქნან სინონიმებად მიჩნეულნი. უხამსობა სექსისგან განსახვავებით, ადამიანში სექსისადმი მწველ, ავხორცულ და ვულგარულ ინტერესს იწვევს¹².

როტის საქმეზე ჩამოყალიბებული საშუალო ადამიანის ტესტით უხამსობის შეფასებისას მხედველობაში მიიღებოდა არა ცალკეული სფერო ან ასაკობრივი ჯგუფი (ახალგაზრდა და მორიდებული ადამიანები), არამედ, მთლიანობაში მასალის გავლენა საშუალო ადამიანზე, როგორც ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფზე, ისე განათლებულ და მომწიფებულ ინდივიდებზე. უხამსობის შეფასებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა ასაკობრივი ან კონკრეტული ჯგუფის გამოყოფით, არამედ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა იმ ადამიანის რეაქცია, რომელიც მასალას ნახავს. ჰიკლინის ტესტის ხარვეზი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მასალის შეფასებისას იგი მხედველობაში იღებდა „მგრძობიარე ადამიანის“ საზომს, რაც შეიძლება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსახვავებული იყოს. შესაბამი-

სად, ჰიკლინის ტესტი მხედველობის მიღმა ტოვებდა ადამიანების იმ ჯგუფს, რომელიც უფრო ასაკიან და მომწიფებულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა¹³.

1966 წელს საქმეზე – *Memoirs v. Massachusetts* აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ შემოიტანა უხამსობის შეფასების ახალი კრიტერიუმი – „სრულიად მოკლებულია სოციალურ ღირებულებებს“, თუმცა მისი დეფინირება არ მომხდარა და არც სასამართლო პრაქტიკა განვითარებულა ამ შეფასების კრიტერიუმთან დაკავშირებით¹⁴.

1973 წელს მილერის ტესტით ჩამოყალიბდა უხამსობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები და „მოხდა პორნოგრაფიის დეკანონზაცია“¹⁵. მილერის ტესტის პირველი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია არა მარტო ადამიანის სექსუალურად აღზნება, არამედ ვულგარული და გარყვნილი შინაარსის მასალა, რომელიც საშუალო ადამიანში მწველ, ავხორც ინტერესს იწვევს. მილერის ტესტმა სექსუალური შინაარსის შემცველი მასალის ღირებულებითი შეფასების სტანდარტი დაამკვიდრა¹⁶. უხამსი გამონახტვა შეიძლება ეხებოდეს აზრის, იდეის გამონახტვას სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ან ვიზუალური რეპრეზენტაციით, როგორებიცაა: ქესტები და სხვადასხვა ნიშნე-

11 ოქრუაშვილი, მ. და კოტეტიშვილი, ი., 2005. გამონახტვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში. პირველი ტომი. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, გვ. 67.

12 ამერიკის შეერთებული შტატების 1957 წლის 24 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე n354 U.S. 476 როთი შეერთებული შტატების წინააღმდეგ). იქვე.

13 ამერიკის შეერთებული შტატების 1966 წლის 21 მარტის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N383 US 413 მემუარსი მასაჩუსეტის წინააღმდეგ).

14 გოცირიძე, ე., 2007. დისერტაცია „გამონახტვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით)“. თსუ, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი: თბილისი: გვ.401.

16 Holderness, C.G., Jensen, M. C. and Meckling, W.H., 2000. The Logic of the First Amendment. p. 31. Harvard Business School NOM Unit Working Paper No. 00-01. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=215468>> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

ბი¹⁷, რომლებიც ეხება – „შტატის კანონით სექსობრივი მასალების შეურაცხმყოფელი ფორმის გათვალისწინებას“, ეს კრიტიკური უფრო მეტად განჭვრეტადს ხდის ნორმას და მინიმუმამდე დაჰყავს სუბიექტური და თვითნებური ინტერპრეტაციის რისკი. უხამსობის შეფასებისას მილერის “ შტატის კანონით გათვალისწინების კრიტიკიუმი” მოითხოვს, კანონით დადგინდეს, რომელი სექსუალური სცენის გამოხატვა იკრძალება. მითითებულ კრიტიკიუმთან შესაბამისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, რომელიც მოითხოვს დანაშაულის შემადგენლობის განჭვრეტად და სკურპულოზულ საკანონმდებლო რეგლამენტაციას.

მილერის სამწვეროვანმა ტესტმა კიდევ უფრო განჭვრეტადი და ცხადი გახდა უხამსობის შეფასება და შემოიტანა უხამსობის მესამე მაკვალიფიცირებელი ნიშანი – მოკლებულია სერიოზულ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ და მეცნიერულ ფასეულობებს. როტის ტესტს სწორედ ეს კრიტიკიუმი აკლდა, რომელშიც მილერის ტესტი მოიაზრებს კულტურულ, ისტორიულ ნიმუშებს, ეროვნულ სიმბოლოებს და სხვა მასალებს.

მილერის ტესტით შეიცვალა როტის ტესტის მაკვალიფიცირებელი მახასიათებელი – საზოგადოებრივი სტანდარტი, რა-

ზეც არ შეიძლება უნივერსალური კონსენსუსი არსებულებით აშშ-ს ყველა შტატში. საზოგადოებრივი სტანდარტი ვერ შეიძენდა ეროვნული სტანდარტის სახეს, რადგან აშშ დიდი ქვეყანაა და ის რაც ერთ შტატში უხამსი არ არის, სხვა შტატში შეიძლება უხამსად ჩაითვალოს¹⁸. მილერის საქმეზე განიმარტა, რომ უხამსობის ცნების შინაარსის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვადასხვა გარემოებები და ადგილობრივი საზოგადოებების თავისებურებანი¹⁹.

უხამსობის შეფასების ტესტი კიდევ უფრო დაიხვეწა გასული საუკუნის 80-იან წლებში. 1987 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე – *Pope v. Illinois* და იმსჯელა მილერის ტესტის მესამე კომპონენტზე – მოცემული მასალები მოკლებულია სერიოზულ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ ან მეცნიერულ ფასეულობებს. *პოუპის საქმეზე* განვითარდა გონიერი ადამიანის სტანდარტი, რომელიც შეაფასებდა რამდენად ჰქონდა მთლიანად მასალას სერიოზული ლიტერატურული, მხატვრული, პოლიტიკური ან სამეცნიერო ღირებულება²⁰. *პოუპის საქმეზე* დაზუსტდა მილერის ტესტის მესამე კომპონენტის ღირებულებითი დატვირთვის შინაარსი და საზომად განჭვრეტადი – გონიერი ადამიანის ტესტი შემუშავდა²¹.

17 Pratyush, R., 2012. Obscenity: Analysis of Indian and US Laws. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=2057442>> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

18 ოქრუაშვილი, მ. და კოტეტიშვილი, ი., 2005. გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში. პირველი ტომი. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი. გვ. 68. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ. 21/06/1973, 413 U.S. 15.

19 ამერიკის შეერთებული შტატების 1973 წლის 21 მაისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N413 U.S. 15. მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ).

20 ამერიკის შეერთებული შტატების 1987 წლის 4 მაისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N481 U.S. 497. პოუპი ილიოისის წინააღმდეგ).

21 Staal, L., 1988. First Amendment--The Objective Standard for Social Value in Obscenity Cases. 78 J. Crim. L. And Criminology 735. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scholarlycommons.law.northwestern.edu/cgi/viewcontent.cgi?article=6569&context=jcl>> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

*Paris Adult Theatre I v. Slaton*²² საქმეზე მოსამართლე ბრენანმა თავისი განსხვავებული მოსაზრება განავითარა მილერის ტესტის მოძველებულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ გამოხატვის კუთხით მხოლოდ ის შეზღუდვები უნდა დაწესებულიყო, რომლებიც ბავშვებს და „დატყვევებულ აუდიტორიას“ დაიცავდა²³.

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე – *Ginsberg v. New York* – განმარტა, რომ ბავშვებისთვის აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლება უფრო ვიწროდ უნდა ინტერპრეტირდეს, ვიდრე მოზრდილთათვის. ბავშვების უფლება, შეისყიდონ და გაეცნონ სექსუალური ხასიათის მასალას, არის უფრო შეზღუდული, ვიდრე მოზრდილთათვის²⁴. გინსბერგის საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა კანონის მოწესრიგება, რომელიც 17 წლამდე პირებისთვის კრძალავდა სექსუალური შინაარსის ლიტერატურის მიყიდვას.

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე – *Attorney General Commission on Pornography*-ში – განმარტა, რომ „ყოველი ტიპის პორნოგრაფია სამართლებრივად არ შეიძლება უხამსად ჩაითვალოს“²⁵. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ სფეროში არ შედის უხამსობა და ბავშვთა პორნოგრაფია.

საქმეში – *Stanley v. Georgia*²⁶ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ პორნოგრაფიის პირად საკუთრებაში არსებობის ლეგალიზაციით (პორნოგრაფიის ფლობის ლეგალიზაცია), იგი მიაკუთვნა უფრო მეტად სამეწარმეო დანაშაულს, ვიდრე საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას და პასუხისმგებლობის ვექტორი პორნოგრაფიის შემქმნელებისა და გამავრცელებლების წინააღმდეგ გადაიტანა.

საქმეზე – *Cohen v. California* აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ პროფანაციული ენის გამოყენება საპროტესტო გამოხატვის დროს არ ნიშნავს უხამსობას. ვულგარული ან პროფანაციული შინაარსის შემცველი სიტყვები არ შეიძლება ისჯებოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოსასმენად შეურაცხმყოფელია სხვისთვის. *Cohen*-ის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მაისურზე გაკეთებული წარწერა („FUCK THE DRAFT“) უხამსობად არ მიიჩნია. სასამართლოს შეფასებით, წარწერა არ იყო მიმართული ვინმე კონკრეტული პირის მიმართ. მოსამართლე ჰარლანის შეფასებით, „ის რაც ერთისთვის ვულგარულობაა, მეორესთვის შეიძლება ლირიკა იყოს“²⁷.

22 District Attorney, et al. 71-1051 SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 1973, 413 US 49.

23 US Supreme Court Decision, *Paris Adult Theatre I v. Slaton*, 21/06/1973, 413 U.S. 49.

24 ამერიკის შეერთებული შტატების 1968 წლის 22 აპრილის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N390 U.S. 629. გინსბერგი ნიუ იორკის წინააღმდეგ). McLawhorn, R., 1986. Attorney General Commission Reporton RPornography. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://epublications.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2396&context=lnq>> [წვდომის თარიღი 19 სექტემბერი 2021].

25 McLawhorn, R., 1986. Attorney General Commission Reporton RPornography. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://epublications.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2396&context=lnq>> [წვდომის თარიღი 19 სექტემბერი 2021].

26 ამერიკის შეერთებული შტატების 1969 წლის 7 აპრილის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N394 U.S. 557. სტენლი ჯორჯის წინააღმდეგ).

27 ამერიკის შეერთებული შტატების 1971 წლის 7 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N403 U.S. 15 კოპენი კალიფორნიის წინააღმდეგ).

„დატყვევებული მსმენელის“ დოქტრინა

„დატყვევებული მსმენელის დოქტრინა“ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული დოქტრინაა, რომელიც იმ ზრდასრულების ინტერესებს იცავს, რომლებსაც არ სურდათ, არც გონივრული მოლოდინი ჰქონდათ და არც მოუთხოვიათ უხამსი მასალის ხილვა²⁸. „დატყვევებული აუდიტორიის“ წარმომადგენლები მათი ნების საწინააღმდეგოდ და უხამსი მასალის გამავრცელებლის სურვილით გახდნენ ამგვარი მასალის მხილველები²⁹.

„დატყვევებული მსმენელის დოქტრინა“ ადამიანს უფლებას აძლევს, არ მოისმინოს, მისი აზრით, უხამსი შინაარსის შემცველი მასალა. იგი იცავს მსმენელს პირად სივრცეში შეჭრისგან, რომელიც არსებითად ლახავს ადამიანის პრივატულ სფეროს³⁰.

ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ადამიანის უფლება (პირადი სივრცე) და ინტერესთა ბალანსის საფუძველზე მოაწესრიგოს გამონატვის თა-

ვისუფლების ფარგლები³¹. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმატებით, ყველას აქვს მარტო ყოფნისა და მისი პირადი სივრცის დაცულობის უფლება („მარტო ყოფნის უფლება“), რისი უზრუნველყოფაც სახელმწიფოს ევალება³².

„დატყვევებული მსმენელისთვის“ სირთულეს წარმოადგენს არასასურველი საუბრისგან თავის დაღწევა, როდესაც უნებლიე, დატყვევებული მსმენელი იძულებულია მოსაუბრის განმეორებად და თავსმოხვეულ საუბარს უსმინოს³³. ასევე, ადამიანი მოკლებულია შესაძლებლობას, თავიდან აირიდოს (evade) თავს მოხვეული მასალის ხილვა, რის გამოც იგი უნებლიე მსმენელი ხდება. ვიზუალური მასალის ნახვისგან თავის არიდება გაცილებით მარტივია, რაც რთულდება აუდიო მასალის დროს. საქმეზე – *Madsen v Women's Health Centre*, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „გაცილებით ადვილია კლინიკისთვის ჩამოაფაროს ფარდები, ვიდრე პაციენტისთვის შეწყვიტოს არასასურველი მასალის მოსმენა“.³⁴

28 Strauss, M., 1991. Redefining the Captive Audience Doctrine. 19 *Hastings Const.L.Q.* 85, გვ. 85. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://repository.uchastings.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1481&context=hastings_constitutional_law_quaterly> [წვდომის თარიღი 14 ოქტომბერი 2021].

29 Malik, O., 2013. The Captive Audience Doctrine: Protecting the Unwilling Listener's Right to Privacy from Unwanted Speech. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [წვდომის თარიღი 14 ოქტომბერი 2021].

30 Lederman, A. D., 1995. Free Choice and the First Amendment or Would You Read This If I Held it in Your Face and Refused to Leave? 45 *Case W. Rsrv. L. Rev.* 1287. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scholarlycommons.law.case.edu/caselrev/vol45/iss4/34>> [წვდომის თარიღი 17 სექტემბერი 2021].

31 იქვე.

32 Strauss, M., 1991. Redefining the Captive Audience Doctrine, 19 *Hastings Const.L.Q.* 85, გვ. 85. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://repository.uchastings.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1481&context=hastings_constitutional_law_quaterly> [წვდომის თარიღი 14 ოქტომბერი 2021].

33 CORBIN, C., 2009. THE FIRST AMENDMENT RIGHT AGAINST COMPELLED LISTENING, Vol. 89:939, გვ. 944. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bu.edu/law/journals-archive/bulr/volume89n3/documents/CORBIN.pdf>> [წვდომის თარიღი 14 ოქტომბერი 2021].

34 იქვე.

საქმეზე – *FCC v. Pacific Found* აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად სცნო ფედერალური კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება რადიო გადაცემაში ჯორჯ კარლინის მონოლოგის (Filthy Words) აკრძალვის შესახებ. უზენაესმა სასამართლომ მონოლოგი უხამს გამოხატვად მიიჩნია, რადგან იგი იჭრებოდა იმ სივრცეში, სადაც ადამიანებს მართო დარჩენის უფლება აქვთ. მეორე მხრივ, უცენზურო სიტყვების შემცველი მონოლოგი არასრულწლოვნის უფლებებს ღახავდა³⁵.

*Cohen-ის საქმეზე*³⁶ დადგენილი სტანდარტით „დატყვევებული მსმენელის დოქტრინა“ არ იცავს ყველას, ვინც ვერ არიდებს თავს არასასურველ გამოხატვას. დატყვევებულ მსმენელად რომ გადაიქცეს პირი, არასასურველი მესიჯი უნდა შეიჭრას მის პრივატულ გარემოში არამემწყნარებლური მანერით და ფორმით. საქმეზე – *Cohen v. California* უზენაესმა სასამართლომ კოპენის მაისურზე დატანილი წარწერა („FUCK THE DRAFT“) უხამსობად არ მიიჩნია და განმარტა, რომ მაყურებელს შეეძლო სასამართლოს კორიდორში თვალი აერიდებინა ამ წარწერისთვის³⁷. სასამართლოს შეფასებით, „ნაკლებად პროფანაციული გამოხატვის დროს, აუდიტორიამ უნდა სცადოს მისთვის თავის არიდება.“³⁸

„დატყვევებული მსმენელის დოქტრი-

ნის“ განმსაზღვრელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ უნებლიე მსმენელმა არასასურველი გამოხატვა უნდა მოისმინოს იმ ადგილას, სადაც მას აქვს პრივატული სივრცის მოლოდინი, რომლის დარღვევაც ხდება არატოლერანტული მეთოდებით³⁹. ადამიანი საკუთარ სახლში არ უნდა გახდეს თავს მოხვეული გამოხატვის მსმენელი“⁴⁰.

საქმეზე – *Kovacs v Cooper*, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა და კონსტიტუციის პირველი შესწორების შესაბამისად სცნო აქტი, რომელიც კრძალავდა ხმის გამაძლიერებლების გამოყენებას ქუჩებში შემაწუნებელი ხმების გასაჟღერებლად. სასამართლოს შეფასებით, საზოგადოება პრაქტიკულად მოკლებული იყო შესაძლებლობას, თავი აერიდებინა მისთვის არასასურველი გამოხატვისგან. საზოგადოება იყო უმწეო, დატყვევებული და უნებლიე მსმენლის როლში. სასამართლოს შეფასებით, გამოხატვის შეზღუდვა მიემართებოდა ღირებული საჯარო ინტერესის დაცვას. მომბაზურობელი ხმებისგან ადამიანების დაცვა ემსახურებოდა ვალიდურ საჯარო ინტერესს⁴¹.

საქმეზე – *Paris Adult Theatre I v. Slaton*⁴² უზენაესმა სასამართლომ ნათლად განმარტა საჯარო და კერძო სივრცეებში პორნოგრაფიის გაცნობის საკითხი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, საჯარო ადგილას (საჯარო სივრცეში)

35 Holderness, C.G., Jensen, M.C. and Meckling, W.H., 2000. The Logic of the First Amendment p. 31. Harvard Business School NOM Unit Working Paper 00-01. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=215468>> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

36 ამერიკის შეერთებული შტატების 1971 წლის 7 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე N403 U.S. 15. კოპენი კალიფორნიის წინააღმდეგ).

37 იქვე.

38 იქვე.

39 იქვე.

40 Malik, O., 2013. The Captive Audience Doctrine, Protecting the Unwilling Listener's Right to Privacy from Unwanted Speech. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

41 ამერიკის შეერთებული შტატების 1949 წლის 31 იანვრის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმეზე კოვაქსი კუპერის წინააღმდეგ).

42 US Supreme Court Decision, Adult Theatre I v. Slaton, 21/06/1973, 413 U.S. 49.

აკრძალოს პორნოგრაფიის ჩვენება, მაშინ, როდესაც სახლში, პრივატულ გარემოში სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი აუკრძალოს პირს პორნოგრაფიული მასალის შენახვა ან/და მოხმარება⁴³.

საქმეზე – *Young v. American Mini Theaters* სასამართლოს უნებლიე მსმენელად იქნა ცნობილი მთელი სამეზობლო. კანონი კრძალავდა კინოთეატრის შენობის განთავსებას დასახლებული პუნქტიდან 500 ფუტის ნაბიჯზე. თეატრში უნდა გასულიყო სექსუალური შინაარსის ფილმები. სასამართლოს შეფასებით, შეზღუდვის მიზანს წარმოადგენდა ქალაქის იერსახისა და არასრულწლოვნის ფსიქიკის დაცვა მავნე ზეგავლენისგან⁴⁴.

სლატონის საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია აკრძალოს მძიმე პორნოგრაფია საზოგადოებრივ და საჯარო ადგილებში, როგორებიცაა: ქუჩა, თეატრი, კვების ობიექტები, ბარები და სხვა.⁴⁵

საზოგადოებრივი მორალი და მიხედულობის დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი გამოსატყვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად საზოგადოებრივ მორალს განსაზღვრავს. ადამიანის უფლე-

ბათა ევროპული სასამართლო მე-10 მუხლის ფარგლებში მორალის ლეგიტიმური მიზნით გამოსატყვის თავისუფლების შეზღუდვის პროპორციულობას ძირითადად არტიკული (სახელოვნებო) თავისუფლების ქრილში განიხილავს⁴⁶.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ავითარებს მიხედულობის დოქტრინას და განმარტავს, რომ არ არსებობს მორალის საერთო ევროპული განმარტება, რომელსაც კონვენციის ხელშემკვრელი ყველა ქვეყანა გამოიყენებდა⁴⁷. არც თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იძლევა საზოგადოებრივი მორალის დეფინიციას და ეროვნულ სახელმწიფოებს უტოვებს ფართო მიხედულობის ფარგლებს საზოგადოებრივი მორალის დაცვისას. ეროვნული სახელმწიფოებისთვის ფართო მიხედულობის ფარგლების მინიჭება სხვადასხვა ქვეყანაში და რეგიონში განსახვავებული სპეციფიკის არსებობით ხასიათდება⁴⁸. მიხედულობის დოქტრინა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ევროპული სასამართლო, როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტი, საზედამხედველო ფუნქციას ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვაზე კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში. სუბსიდირების პრინციპით, სწორედ ეროვნული სახელმწიფოა ვალდებული შექმნას ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები და ქვეყნის შიგნით შეიმუშაოს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმი.

„სექსუალურ მორალურობასთან“ დაკავშირებით ფართო მიხედულობის ფარგ-

43 US SUPREME COURT DECISION, *Adult Theatre I v. Slaton*, 21/06/1973, 413 U.S. 49.

44 US Supreme Court Decision, *Young v. American Mini Theatres, Inc.*, 24/06/1976, 427 U.S. 50.

45 US SUPREME COURT DECISION, *Adult Theatre I v. Slaton*, 21/06/1973, 413 U.S. 49.

46 Bychawska-Siniarska, D., 2017. Protecting the right to freedom of expression under the European Convention of Human Rights. A handbook for legal practitioners, Council of Europe, გვ. 58.

47 Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, 2020. Freedom of expression, Updated – 31 August გვ. 96.

48 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე მუგმენტ რელიენ სუის შვეიცარიის წინააღმდეგ. განაცხადი N16354/06.

ლები გააჩნია ეროვნულ სახელმწიფოებს მათი ეროვნული კანონმდებლობის, ადგილობრივი სპეციფიკისა და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით⁴⁹. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „სექსუალურ მორალურობასთან“ დაკავშირებით მიხედულობის დოქტრინა განავითარა 1976 წელს, საქმეზე – *Handyside v. UK*. სასამართლოს შეფასებით „სხვადასხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შიდა სამართალში ერთგვაროვანი ევროპული კონცეფცია არსებობდეს მორალის თაობაზე. შესაბამისი კანონებით გათვალისწინებული მოსაზრებები მორალის მოთხოვნების შესახებ განსხვავებულია სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით კი, ჩვენს ეპოქაში, რომელიც ხასიათდება ამ საკითხზე მიხედულებების სწრაფი ცვალებადობითა და შორს მიმავალი ევოლუციებით. თავიანთი ქვეყნის რეალობასთან პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტის წყალობით, სახელმწიფო ხელისუფლება პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოთქვას აზრი ამ მოთხოვნების ზუსტი შინაარსის, ისევე, როგორც „მუზღუდეების“ და „სანქციების“ აუცილებლობის თაობაზე, რომელთაც ამ ამოცანის შესრულება ეკისრებათ“⁵⁰. შესაბამისად, საზოგადოებრივი „მორალის დაცვასთან“ დაკავშირებით სახელმწიფოებს მიხედულობის ფართო ზღვარი აქვთ⁵¹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სა-

სამართლოს პრაქტიკაში მორალისა და უხამსობის ერთმანეთთან კოლიდირების მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს საქმე – *Müller and Others v. Switzerland*⁵². ჰენდისაიდის საქმის მსგავსად, მიუღერის საქმეზეც ევროპული სასამართლო მიხედულობის დიქტრონას დაეყრდნო და განმარტა, რომ ეროვნული სასამართლოები „მორალის“ საკითხის გადაწყვეტისას გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლეები, რადგან ეროვნულ მოსამართლეს პირდაპირი შეხება აქვს მათი ქვეყნის რეალობასთან⁵³.

შეურაცხმყოფელი, მათ შორის პროფანაციული გამოხატვის დაცულობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ეფუძნება ჰენდისაიდის საქმეზე განვითარებულ სტანდარტს, რომლის თანახმადაც „კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია არა მარტო „ინფორმაცია“ ან „იდეები“, რომლებიც კეთილმოსურნეა, ანდა აღიქმება როგორც უწყინარი, ანდა ინდიფერენტული, არამედ ისეთებიც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოს, ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისთვის.“⁵⁴ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, შეურაცხმყოფელი გამოხატვა ექვევა გამოხატვის დაცვის სფეროში საქმეზე, თუ სახეზე არ არის ბოროტგანზრახული დამდაბლე-

49 ამერიკის შეერთებული შტატების 1973 წლის 21 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N413 U.S. 15. მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ.

50 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განაცხადი 5493/72.

51 იქვე.

52 გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, 2005. ტომი 1, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი: გვ.140.

53 იქვე.

54 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განაცხადი 5493/72.

ბა და პირის ერთდერთ მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის ღირსების შელახვა⁵⁵.

პროფანაციული გამოხატვის შეფასებისას, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს გამოხატვის ექსპრესიულობის ხასიათს, მისი ავტორის განზრახვას და მიზანს⁵⁶. უხამსობის კრიტერიუმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც გამოიყენება, თუმცა იგი არ წარმოადგენს არსებით კრიტერიუმს საზოგადოებრივი მორალის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლების შეფასებისას⁵⁷.

პროფანაციული გამოხატვის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს, თუ რამდენად საზოგადოებრივ დისკუსიაში წვლილის შემტანია გამოხატვა. 2019 წლის საქმეზე – MĂTĂȘARU v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ვულგარული გამოხატვა, თუ მისი მიზანია საჯარო საკითხების გაპროტესტება, დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით. საქმეზე – MARIYA ALEKHINA AND OTHERS v. RUSSIA, რომელიც შეეხებოდა მოსკოვის ერთ-ერთ ტაძარში სიმღერის – "Punk Prayer – Virgin Mary, Drive Putin Away" შესრულებას, სასამართლომ მიიჩნია პოლიტიკური და არტისტული პროტესტის გამოხატვად, მიუხედავად მისი პროფანაციული ხასიათისა, რადგან გამოხატვა ეხე-

ბოდა პუტინის რუსეთში ავტორიტარიზმის გაპროტესტებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, მორალის დაცვის საზოგადოებრივი ინტერესისა და უხამსობის ერთმანეთთან დაპირისპირება განხორციელდა საქმეზე – *Müller and Others v. Switzerland*.⁵⁸ მიუღერის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი მორალის დაცვის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იყო გონივრული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე ბატონმა მიუღერმა გამოფინა თავისი ნახატი, რომელზეც დატანილი იყო სოდომური ცნებები, ზოოფილია და ჰომოსექსუალიზმი. გამოფენა ხელმისაწვდომი იყო არასრულწლოვნებისთვისაც ასაკის შეზღუდვად და უფასოდ ხელმისაწვდომი იყო ფართო აუდიტორიისთვის. ჰენდისაიდის საქმის მსგავსად, არასრულწლოვნებისათვის ნახატების მისაწვდომობამ ითამაშა დიდი როლი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. სასამართლომ შემფოთება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პუბლიცაცია განკუთვნილი იყო 12-18 წლის მოზარდებისათვის და იგეგმებოდა მისი ფართო გავრცელება. მიუღერის საქმეზე დადგენილ სტანდარტს იყენებს სასამართლო არტისტული გამოხა-

55 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე სავა ტერენტიევი რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი 25147/09.

56 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე მურატ ვურალი თურქეთის წინააღმდეგ, განაცხადი 9540/07.

57 გოცირიძე, ე., 2007. დისერტაცია „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით)“. თსუ, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი: თბილისი: გვ.426.

58 ოქტუაშვილი, მ. და კოტეტიშვილი, ი., 2005. გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, პირველი ტომი. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, გვ. 140.

ტვის შეზღუდვის პროპორციულობის დასადაგენად⁵⁹.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს საზოგადოებრივი მორალის საწინააღმდეგო გამოხატვის შემთხვევაში, იგი ეროვნულ სახელმწიფოებს არ ავალდებულებს საზოგადოებრივი მორალის დაცვის ლეგიტიმური მიზნის კონსტიტუციაში რეგლამენტაციას. კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივი მორალის ლეგიტიმური მიზანი გამოხატვის შინაარსში შესვლის შესაძლებლობას ქმნის, რაც დაცულობის დაბალ სტანდარტზე მიუთითებს. საქართველოს კონსტიტუცია ევროპული კონვენციის მინიმალური სტანდარტისგან განსხვავებით, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტს ავითარებს და საზოგადოებრივი მორალის დაცვის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და უხამსობის ცნება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს *Handyside-ის* საქმეზე განვითარებულ სტანდარტს და განმარტავს, რომ „თავისუ-

ფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკისმომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და საჩუქმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“⁶⁰.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით „პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები“.⁶¹

გამოხატვის უცენზურო და პროფანაციული ხასიათი არ არის საკმარისი, რათა მასზე აღარ გავრცელდეს საქართველოს კონსტიტუციური სტანდარტი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, შეურაცხმყოფელი გამოხატვა, თუ მისი ერთადერთი მიზანი ადამიანის ღირსების დამცირება არ არის, ექვევა გამოხატვის თავისუფლე-

59 Vereinigung Bildender Künstler v. Austria., 2007.25 January [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/vereinigung-bildender-kunstler-v-austria/>> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

60 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N. N1/7/561, 568).

61 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე N.1/3/421,422).

ბისდაცვის სფეროში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განმარტა, რომ „სიტყვას ან ქმედებას, თუ მას არ გააჩნია პოლიტიკური, სოციალური, მხატვრული ან სხვა ღირებულება, კონსტიტუციით დაცული სფეროდან გამოდის, როდესაც ის საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებას, სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს უპირისპირდება“.⁶²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების უფრო მაღალ სტანდარტს ავითარებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტი ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივი მორალის დასაცავად, რაც ევროპულ სასამართლოს გამოხატვის თავისუფლების შინაარსში შესვლის შესაძლებლობას აძლევს. საქართველოს კონსტიტუციური სტანდარტი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ისეთი სუბიექტური ლეგიტიმური მიზნით, როგორც არის საზოგადოებრივი მორალი, არ ითვალისწინებს. დემოკრატიული სახელმწიფოსთან შეუთავსებელია საქართველოს კონსტიტუციური სტანდარტით განსაზღვრული შეზღუდვების (ლეგიტიმური მიზნების) სიის გაფართოება. გამოხატვის თავისუფლების ქართული მოდელი თვალსაზრისობრივად ნეიტრალური რეგულირების პრინციპს ეფუძნება. გიორგი ყიფიანის და ავთანდილ უნგიაძის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ თმენის ვალდებულება იმ

მოსაზრებების მიმართ, რომელთაც ისინი არ იზიარებენ ან, თუნდაც თვლიან ზნეობრივად გაუმართლებლად. დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ზნეობრივი ნორმების ან მსოფლმხედველობის საზოგადოების სხვა ჯგუფებზე თავსმოხვევა სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით.“⁶³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, შინაარსობრივი რეგულირების შემოღების გზით, ამ უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა. იმის სავალდებულოდ განსაზღვრა, თუ რა შინაარსის აზრის/ინფორმაციის გავრცელება არის დაუშვებელი, გულისხმობს პირთა გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას“.⁶⁴

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „შინაარსობრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური. არადისკრიმინაციული შეზღუდვის სახით“.⁶⁵ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი გამოხატვის თავისუფლების აშშ-ს სტანდარტს ავითარებს შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალურ მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციური სტანდარტით არ არის დაცული უხამსობა, რომელიც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში განმარტებულია, როგორც „განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულ-

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე N.2/482,483,487,502).

63 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე N.1/3/421,422).

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე N. 1/7/1275).

65 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>> [წვდომის თარიღი 25 სექტემბერი 2021].

ტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და, რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს".⁶⁶ უხამსობის განმარტების ეს კომპონენტი მილერის ტესტის შემადგენელი მესამე ნაწილია.

უხამსობის ცნების მეორე კომპონენტი – „უხეშად ლახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“, არაგანჭრეტადი განმარტებაა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციურ სტანდარტს ეწინააღმდეგება. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს გამონატვის თავისუფლების შეზღუდვას კონვენციონალური მორალის საფუძველზე: „უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“, საზოგადოებრივ მორალთან წინააღმდეგობის საფუძვლით გამონატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი და შინაარსობრივი ჩარევის რისკს შეიცავს, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიზანს ეწინააღმდეგება. მნიშვნელოვანია, უხამსობის ცნება და მისი განმარტება დაიხვეწოს და მასში ინკორპორირდეს მილერის და პოუპის საქმეებზე განვითარებული სტანდარტები, რომლებიც უფრო განჭრეტადს გახდის უხამსობის ცნების განმარტებას და გამონატვის თავისუფლების საგნის მიხედვით შეზღუდვის პრევენციას მოახდენს. მასალის სერიოზული ლიტერატურული, მხატვრული, პოლიტიკური ან სამეცნიერო ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია შემოტანილ იქნას პოუპის საქმეზე განვითარებული „გონიერი ადამიანის ტესტი“, რომელიც შეაფასებს რამდენად აქვს მთლიანად მასალას სერიოზული ლიტერატურული, მხატვრული, პოლიტიკური ან სამეცნიერო ღირებულება.

დასკვნა

კვლევისას გამოიკვეთა, რომ უხამსობის ცნების განმარტება საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზიანია და კონვენციონალურ მორალთან წინააღმდეგობის საფუძვლით გამონატვის თავისუფლებაში ჩარევის რისკებს ქმნის. აღნიშნული კი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული გამონატვის თავისუფლების შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალური შეზღუდვის არსს ეწინააღმდეგება. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს გამონატვის თავისუფლების შეზღუდვას კონვენციონალური მორალის საფუძველზე. მნიშვნელოვანია, უხამსობის ცნება და მისი განმარტება დაიხვეწოს და მასში ინკორპორირდეს მილერის და პოუპის საქმეებზე განვითარებული სტანდარტები, რომლებიც უფრო განჭრეტადს გახდის უხამსობის ცნების განმარტებას და გამონატვის თავისუფლების საგნის მიხედვით შეზღუდვის პრევენციას მოახდენს. უხამსობის ცნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, მასალის სერიოზული ლიტერატურული, მხატვრული, პოლიტიკური ან სამეცნიერო ღირებულების შეფასებისთვის შემოტანილ იქნას პოუპის საქმეზე განვითარებული „გონიერი ადამიანის ტესტი“, რომელიც შეაფასებს, რამდენად აქვს მთლიანად მასალას სერიოზული ლიტერატურული, მხატვრული, პოლიტიკური ან სამეცნიერო ღირებულება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამონატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს *Handyside-ის* საქმეზე განვითარებულ სტანდარტს და გამონატვის თავისუფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტსაც ავითარებს.

66 საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონატვის თავისუფლების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>> [წვდომის თარიღი 25 სექტემბერი 2021].

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკლოჰორნ, რ., 1986. გენერალური პროკურორის ანგარიში პორნოგრაფიის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://epublications.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2396&context=lnq>> [წვდომის თარიღი 19 სექტემბერი 2021].
2. მალიკ, ო., 2013. დატყვევებული მსმენელის დოქტრინა: არამსურველი მსმენელის პირადი სივრცის დაცვა არასასურველი გამოხატვისგან. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [წვდომის თარიღი 21 სექტემბერი 2021].
3. პრატიშ, რ., 2012. უხამსობა აშშ-ს და ინდოეთის კანონმდებლობის ანალიზი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=2057442>> [წვდომის თარიღი 10 სექტემბერი 2021].

Bibliography:

Used Literature:

1. Mclawhorn, R., 1986. Attorney General Commission Report on Rpornography.[online] available at: <<https://epublications.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2396&context=lnq>> [accessed 19 September 2021]. (in English)
2. Malik, O., 2013. The Captive Audience Doctrine: Protecting the Unwilling Listener's Right to Privacy from Unwanted Speech. [online] available at: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [Accessed 19 September 2021]. (in English)
3. Pratyush, R., 2012. Obscenity: Analysis of Indian and US Laws. [online] available at: SSRN:<<https://ssrn.com/abstract=2057442>> [Accessed 10 September 2021]. (in English)

References:

1. Article 17, Georgian Constitution (24.08.1995). [online] available at: <<https://matsne.gov.ge/>

2. First Ammendment of the US Constitution.[online] available at:<https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment> [Accessed 25 September 2021]. (in English)
3. Metcalf, J.and Todd., 1996.Obscenity Prosecutions in CyberspaceE The Miller Test Cannot "Go Where No [Porn] Has Gone Before". Washington University Law Review, 74, p.485. [online] available at: <https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1613&context=law_lawreview> [Accessed 10 September 2021]. (in English)
4. Decision of US Supreme Court, Miller v. California, 21/06/1973,413 U.S. 15. (in English)
5. Okruashvili, M. and Kotetishvili, I., 2005. Freedom of Expression in US and Europe, first volume. Tbilisi: Freedom Institute, p.20. (in Georgian); US Supreme Court Decision Miller v. California, 21/06/1973,413 U.S. 15. (in English)
6. Green, W., 2009. Hicklin Test, FIRST AMENDMENT ENCYCLOPEDIA, [ONLINE]available at: <<https://www.mtsu.edu/first-amendment/article/969/hicklin-test>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
7. Metcalf, J. and Todd, 1996. Obscenity Prosecutions in Cyberspace: The Miller Test Cannot "Go Where No [Porn] Has Gone Before". Washington University Law Review, Volume 74, p.485. [online] available at: <https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1613&context=law_lawreview> [Accessed 10 September 2021]. (in English)
8. Okruashvili, M. and Kotetishvili, I., 2005. Freedom of Expression in US and Europe, first volume. Tbilisi: Freedom Institute, p.67. (in Georgian)
9. Gotsiridze, E., 2007. Dissertation "Freedom of Expression in the context of gust balance of conflicting Values (According to the European Convention and ECHR case law)", TSU, Institute of International Law, Tbilisi: p.401. (in Georgian)
10. Decision of US Supreme Court, Roth v. US 24/06/1957, 354 U.S. 476. (in English)
11. Okruashvili, M. and Kotetishvili, I., 2005. Freedom of Expression in US and Europe.first volume. Tbilisi: Freedom Institute, p.67. (in Georgian)
12. Decision of US Supreme Court, Roth v. US

- 24/06/1957, 354 U.S. 476. (in English)
13. Ibid.
 14. Decision of US Supreme Court, *Memoirs v. Massachusetts*, 21/03/1966, 383 US 413. (in English)
 15. Gotsiridze, E., 2007. Dissertation "Freedom of Expression in the context of gust balance of conflicting Values (According to the European Convention and ECHR case law)", TSU, Institute of International Law, Tbilisi: p.401. (in Georgian)
 16. Holderness, C.G., Jensen, M.C. and Meckling, W.H., 2000. *The Logic of the First Amendment* p. 31. Harvard Business School NOM Unit Working Paper, 00-01. [online] available at: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=215468>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 17. Pratyush, R., 2012. *Obscenity: Analysis of Indian and US Laws*. [online] available at: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=2057442>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 18. Okruashvili, M. and Kotetishvili, I., 2005. *Freedom of Expression in US and Europe*, first volume, Tbilisi: Freedom Institute, p.68. (in Georgian)
 19. Decision of US Supreme Court *Miller v. California*, 21/06/1973, 413 U.S. 15. (in English)
 20. *Miller, V.*, 1973. Decision of US Supreme Court California. 413 U.S. 15. (in English)
 21. Decision of US Supreme Court *Pope v. Illinois* 4/05/1987, 481 U.S. 497. (in English)
 22. Staal, L., 1988. *First Amendment - The Objective Standard for Social Value in Obscenity Cases*. 78 J. Crim. L. and Criminology 735. [online] available at: <<https://scholarlycommons.law.northwestern.edu/cgi/viewcontent.cgi?article=6569&context=jclc>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 23. District Attorney, et al. No. 71-1051 SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 1973, 413 US 49. (in English)
 24. Decision of US Supreme Court *Paris Adult Theatre I v. Slaton*, 21/06/1973, 413 U.S. 49. (in English)
 25. Ginsberg, V., 1968. Decision of US Supreme Court. New York, 390 U.S. 629. (in English)
 26. McLawhorn, R., 1986. *Attorney General Commission Report on Pornography* [online] available at: <<https://epublications.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2396&context=lng>> [accessed 19 September 2021]. (in English)
 27. Stanley, V., 1969. Decision of US Supreme Court, Georgia, 394 U.S. 557. (in English)
 28. Cohen, V., 1971. Decision of US Supreme Court, California, 403 U.S. 15. (in English)
 29. Strauss, M., 1991. *Redefining the Captive Audience Doctrine*, 19 Hasting Const.L.Q.85, p. 85. [online] available at: <https://repository.uchastings.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1481&context=hastings_constitutional_law_quaterly> [Accessed 14 October 2021]. (in English)
 30. Malik, O., 2013. *The Captive Audience Doctrine: Protecting the Unwilling Listener's Right to Privacy from Unwanted Speech*. [online] available at: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [accessed 14 October 2021]. (in English)
 31. Lederman, A. D., 1995. *Free Choice and the First Amendment or Would You Read This If I Held it in Your Face and Refused to Leave ?*, 45 Case W. Rsrv. L. Rev. 1287. [online] available at: <<https://scholarlycommons.law.case.edu/caselrev/vol45/iss4/34>> [accessed 17 September 2021]. (in English)
 32. Ibid.
 33. Strauss, M., 1991. *Redefining the Captive Audience Doctrine*, 19 Hasting Const.L.Q.85, p. 85. [online] available at: <https://repository.uchastings.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1481&context=hastings_constitutional_law_quaterly> [Accessed 14 October 2021]. (in English)
 34. CORBIN, C., 2009. *THE FIRST AMENDMENT RIGHT AGAINST COMPELLED LISTENING*. Vol 89:939, p. 944. [online] available at: <<https://www.bu.edu/law/journals-archive/bulr/volume89n3/documents/CORBIN.pdf>> [Accessed 14 October 2021]. (in English)
 35. Ibid.
 36. Holderness, C.G., Jensen, M.C. and Meckling, W.H., 2000. *The Logic of the First Amendment* p. 31. Harvard Business School NOM Unit Working Paper No. 00-01. [online] available at: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=215468>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 37. Decision of US Supreme Court, *Cohen v.*, 1971. California, 403 U.S. 15, 21. (in English)
 38. Ibid.
 39. Ibid.
 40. Ibid.
 41. Malik, O., 2013. *The Captive Audience Doctrine: Protecting the Unwilling Listener's Right to Privacy from Unwanted Speech*. [online]

- available at: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [Accessed 10 September 2021]. (in English)
41. Decision of US Supreme Court Kovacs v. Cooper, 31/01/1949, 336 U.S. 77. (in English)
 42. Decision of US Supreme Court, Adult Theatre I v. Slaton, 21/06/1973, 413 U.S. 49. (in English)
 43. Ibid.
 44. Decision of US Supreme Court, Young v., 1976. American Mini Theatres, Inc., 427 U.S. 50. (in English)
 45. Decision of US Supreme Court, Adult Theatre I v. Slaton, 21/06/1973, 413 U.S. 49. (in English)
 46. Bychawska-Siniarska, D., 2017. Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention of Human Rights, A Handbook for Legal Practitioners, Council of Europe, p. 58. (in English)
 47. Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of expression, Updated –31 August 2020. p. 96. (in English)
 48. European Court of Human Rights, Mouvement Raëlien suisse v. Switzerland, 13/07/2012, application 16354/06. (in English)
 49. Decision of US Supreme Court Miller v. California, 21/06/1973, 413 U.S. 15. (in English)
 50. European Court of Human Rights Handyside v. UK, 7/12/1976, application 5493/72. (in English)
 51. Ibid.
 52. Freedom of Expression in the US and Europe, volume 1, Freedom Institute, Tbilisi, 2005, p.140. (in English)
 53. Ibid.140.
 54. European Court of Human Rights Handyside v. UK, 7/12/1976, application 5493/72. (in English)
 55. European Court of Human Rights, CASE OF SAVVA TERYTYEV v. RUSSIA, 28/08/2018, application, 25147/09. (in English)
 56. European Court of Human Rights, CASE OF MURAT VURAL v. TURKEY 21/10/2014, 9540/07. (in English)
 57. Gotsiridze, E., 2007. Dissertation „Freedom of Expression in the context of gust balance of conflicting Values (According to the European Convention and ECHR case law)", TSU, Institute of International Law, Tbilisi: p. 426. (in Georgian)
 58. Okruashvili, M. and Kotetishvili, I., 2005. Freedom of Expression in US and Europe, first volume, Tbilisi: Freedom Institute, p. 140. (in Georgian)
 59. Vereinigung Bildender Künstler v. Austria, 25 January 2007. [online] available at: <<https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/vereinigung-bildender-kunstler-v-austria/>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 60. Decision of Constitutional Court of Georgia, 20 December 2013 (case N. N1/7/561, 568). (in English)
 61. Decision of Constitutional Court of Georgia, 10 November 2009 (case N.1/3/421,422). (in English)
 62. Decision of Constitutional Court of Georgia, 18 April 2011 (case N.2/482,483,487,502). (in English)
 63. Decision of Constitutional Court of Georgia, 10 November 2009 (case N.1/3/421,422). (in English)
 64. Decision of Constitutional Court of Georgia, 7 August 2019, (case N. 1/7/1275). (in English)
 65. Law on „Freedom of speech and Expression" [online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>> [Accessed 25 September 2021]. (in English)
 66. Law on „Freedom of speech and Expression" [online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>> [Accessed 25 September 2021]. (in English)